მცირე დეტალები ლ. ტოლსტოის მოთხრობის „ჰაჯი მურატი“ შექმნის ისტორიიდან

მანანა მიქაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mananamikadze123@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.947

სტატიაში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე მოყვანილია ფაქტები დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მიერ მოთხრობის „ჰაჯი მურატის“ დაწერის პერიოდში ქართველი მწერლების ცოლ-ქმარ ნინო და ილია ნაკაშიძეების მიერ მიწოდებული მასლა, ასევე სხვა ქართველი მოღვაწეების წვლილი მოთხრობის შექმნისას.

საკვანძო სიტყვები: ჰაჯი მურატი, ლევ ტოლსტოი, ილია და ნინო ნაკაშიძეები

სიჭაბუკიდანვე კავკასიის რომანტიკით გატაცებულმა მწერალმა ბარე ოთხი წელიწადი დაჰყო საქართველოში, ჯერ როგორც სამოქალაქო პირმა, ხოლო შემდეგ სამხედრო მოსამსახურემ. კავკასიაში ტოლსტოის არა ერთხელ მოუხდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

კავკასიაში იგი ბევრგან იყო, მისი მუდმივი საცხოვრებელი გახლდათ სტანიცა სტაროგლადოვსკაია, "კაზაკებში" ასე დაწვრილებით რომ აღწერა ნოვომლინსკაიას სახით. ამას გარდა, ლ. ტოლსტოი იყო თბილისში, ჰასავ-იურთში, ძველ იურთში, გროზნოში, პიატიგორსკში, ჟელეზნოვოდსკში, მოზდოკში; იმოგზაურა კასპიის ზღვის სანაპიროებზე. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, კავკასიის ბუნების სიდიადეს ლ. ტოლსტოი გულწრფელი აღფრთოვანებით გადმოგვცემს თავის მრავალრიცხოვან დღიურებში, წერილებსა და მოთხრობებში.

ლ. ტოლსტოი არა მარტო კავკასიური პეიზაჟებით მოხიბლულა, - აქაური ადამიანებითაც. თუ იგი ვერ ეგუებოდა ოფიცერთა საზოგადოებას, სამაგიეროდ დიდი გატაცებით უახლოვდებოდა კაზაკებსა და მთიელებს. ის მეგობრობდა მოხუც კაზაკ ეპიშკასთან (ეპიფანე სეხინი), რომელიც მოთხრობა "კაზაკების" ერთ-ერთი პერსონაჟის ეროშკის პროტოტიპი გახდა. კაზაკებსაც არა ნაკლებ უყვარდათ ტოლსტოი და დიდ პატივს სცემდნენ მას. მათ მოსწონდათ ლ. ტოლსტოის სიმამაცე, გამბედაობა და შეუპოვრობა. მწერალმა ხომ დიდი სულიერი სიმტკიცე და გამბედაობა გამოიჩინა ჩეჩნებთან შეტაკებისას, როცა კინაღამ ტყვედ ჩავარდა.

სტაროგლადკოვსკაიში ლ. ტოლსტოი ბევრს მუშობდა. იქ განაგრძო ადრე დაწყებული მოთხრობების წერა ("ბავშვობა" და "ყრმობა"), აქვე შექმნა, მოიფიქრა ან დაიწყო კავკასიის ომებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები: "თარეში", "ტყის ჩეხვა",

"კაზაკები". კავკასიაში ლ. ტოლსტოი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეკითხა და ეწერა. აქ ჩამოყალიბდა მისი მრავალი თვისება, როგორც მხატვრისა და მოაზროვნისა.

ჰაჯი-მურატის სახემ დიდი ხნიდან მიიპყრო ტოლსტოის ყურადღება. კავკასიის გმირის სახელს ტოლსტოისაგან პირველად ვგებულობთ 1851 წლის 23 დეკემბერს დაწერილ წერილში, რომელსაც თბილისიდან თავის ძმას სერგის უგზავნიდა: "თუ გინდა კავკასიის ამბების ცოდნით დაიკვეხო, შეგიძლია თქვა, რომ შამილის შემდეგ მეორე პიროვნება არის ვინმე ჰაჯი-მურატი, რომელიც ამ დღეებში ჩაბარდა რუსების მთავრობას. ეს იყო პირველი მამაცი და მთელს ჩეჩნეთში სახელგანთქმული კაცი, რომელმაც ფლიდობა ჩაიდინა".

ათიოდე წლის შემდეგ ლ. ტოლსტოი პედაგოგიურ ნაშრომებში კვლავ იხსენებს ჰაჯი-მურატს: "საუბარი კავკასიელ ყაჩაღებზე ჩამოვაგდე, - ამბობს ტოლსტოი, - ისინი იგონებდნენ კავკასიურ ამბებს, რომლებიც მათ დიდი ხნის წინათ მოვუყევი და ახლა ისევ დავიწყე თხრობა აბრაგებზე, კაზაკებსა და ჰაჯი-მურატზე".

კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე ათეულმა წელმა გაიარა. შეიქმნა "ანა კარენინა", "ომი და მშვიდობა", ტოლსტოიმ დაიპყრო მკითხელთა გულები და აი, 42 წლის შემდეგ, მოულოდნელად ერთმა უმნიშვნელო ამბავმა საშუალება მისცა მწერალს, მეხსიერებაში აღადგინა დიდი ხნის წინათ გადავიწყებული ეპიზოდი. ამ ეპიზოდმა ააღელვა და წლების განმავლობაში მის გონებას არ ასვენებდა.

ეს ამბავი 1896 წლის ზაფხულში მოხდა. იმ ხანებში ტოლსტოი პიროგოვთან ერთად ძმას (სერგის) სტუმრობდა, რომელსაც თბილისიდან აცნობა ჰაჯი-მურატის რუსების მხარეზე გადასვლის ამბავი. შინ დაბრუნების დროს ლ. ტოლსტოის მოუხდა ახალმოხნულ მინდორზე გადავლა. არსად არ ჩანდა ბალახი. მხოლოდ ერთ ადგილას, გზასთან მოჩანდა ბირკავას ბუჩქი. ის იყო მტვერში ამოგანგლული, ამოსვრილი, მაგრამ მაინც ცოცხალი. ამ ერთიანად გადახნულ მინდორში მცენარის სიცოცხლის ძალის შეგრძნებამ აღაფრთოვანა მწერალი და რატომღაც ჰაჯი-მურატი მოაგონდა.

რამდენჯერ გაითელა უმოწყალოდ ჰაჯი-მურატი ფიზიკურადაც და სულიერადაც, მაგრამ გადარჩა. გავიხსენოთ თუნდაც ნუხადან გაქცევა. იგი ბრინჯის ნათესებში დაიმალა პატარა კუნძულზე აულ ბელიაჯიკის მახლობლად. მას ყოველი მხრიდან გარშემოერტყნენ. იგი ფიცხლად უმკლავდებოდა შემოტევას. უცებ ერთი ჭრილობა, მეორე. იგი ჩოხის სარჩულიდან იღებს ბამბას, ჩურთავს ჭრილობებში და კვლავ განაგრძობს თავდაცვას. მდგომარეობა გამოუვალია, სასიკვდილოდ დაჭრილი ჰაჯი-მურატი უკანასკნელ ღონეს იკრებს, ძლივძლივობით წამოიმართება მთელი ტანით და მხოლოდ ამის შემდეგ დაეცემა, რომ მეტად უკვე ვეღარ წამოდგეს.

1896 წლის 19 ივლისის დღიურში ლ. ტოლსტოი ასედაც მიუთითებდა, რომ ბირკავას ბუჩქმა მოაგონა "ჰაჯი-მურატი". არა მარტო მოაგონა, არამედ სურვილი აღეძრა დაეწერა ნაწარმოები ამ მთიელზე, რთული ხასიათისა და რთული ბედის ადამიანზე. სწორედ შამარდინის მონასტერში, დასთან სტუმრობისას დაიწყო "ჰაჯი-მურატის" წერა, რასაც ცოტა ხანი მწერალი მალავდა კიდეც.

ერთ თვეში შამარდინის მონასტერში მოთხრობის მონახაზი არსებობდა, მაგრამ მისი სიუჟეტი დიდხანს განიცდიდა ცვლილებებს.

ს. შულგინი - შამილსა და ჰაჯი-მურატზე ისტორიული ნარკვევის ავტორი გადმოგვცემს 1903 წელს ლ. ტოლსტოისთან საუბარს: "მომიხდება ნიკოლოზის

ეპოქაში ჩაღრმავება, - თქვა ლ. ტოლსტოიმ, - დიდ მასალის გადათვალიერება, როგორც დაბეჭდილის, ისე ხელნაწერისა. ყველაფერი ეს მჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ შეიქმნას ორი ან სამი ხასიათი, რომლებიც შესაძლოა მკითხველმა ვერც კი შენიშნოს, მაგრამ თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია". "ჰაჯი-მურატში," განსხვავებით სხვა კავკასიური მოთხრობებისა, ისტორიული სინამდვილე დოკუმენტური სიზუსტითაა გაცოცხლებული.

ჰაჯი-მურატის პიროვნების შესასწავლად მწერალს აინტერესებდა ყოველი წვრილმანი, რომელსაც თავისი კავკასიელი მეგობრების ი. ნაკაშიძის, ს. ესაძისა და ს. შულგინის მეშვეობით აზუსტებდა. ლევს აინტერესებდა ყველა უმნიშვნელო დეტალიც კი.

ლ. ტოლსტოიმ შეისწავლა მრავალი ნაბეჭდი და საარქივო წყარო, რათა საფუძვლიანად გასცნობოდა კავკასიის ომების ისტორიას, დაღესტნის წარსულს, შამილისა და ჰაჯი-მურატის პიროვნებას. მაგრამ გენიალურ მხატვარს, რომელმაც ჩაიფიქრა კავკასიური მოთხრობა, აინტერესებდა არა მარტო დოკუმენტები, არამედ უნდოდა კავკასიის ომების ვეტერანთა, ბრძოლების უშუალო მონაწილე ცოცხალ ადამიანთა მეშვეობით მიეღო მისთვის საინტერესო ცნობები. ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე იგონებს: "ერთხელ, ხუთი საათი იქნებოდა, ილიკო ის-ის იყო დაბრუნდა სამსახურიდან, რომ კარი გაიღო და ლევ ტოლსტოი შემოვიდა. მაშინ ჩვენ პლიუშჩიხაზე ვცხოვრობდით.

- თუ არ შეგაწუხებთ, ჰაჯი-მურატის შესახებ ზოგიერთი ცნობის შეგროვება მჭირდება. აქ მოსკოვში არის მოხუცთა თავშესაფარი. იქ უნდა ცხოვრობდნენ დაღესტნის ომის მეომრები. მინდა გავიგო, მართალია თუ არა ეს. იქნებ იცით რამე?"

ნინოს მეუღლემ, ცნობილმა მწერალმა ილია ნაკაშიძემ, სიამოვნებით შეასრულა დიდი მწერლის თხოვნა და იგი წერს, როგორი აღტაცებით იხსენებდნენ ომის ვეტერანები შამილსა და იმ განვლილ ამბებს, რომლებიც მათ გადაიტანეს.

ილია ნაკაშიძე საქართველოში დაბრუნების შემდეგაც ეხმარებოდა ლ. ტოლსტოის ჰაჯი-მურატზე მასალების შეგროვებაში. როგორც აღვნიშნეთ, მწერალს დიდი დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე ცნობილმა ისტორიკოსმა პოლკოვნიკმა ს. ესაძემ, თბილისელმა მასწავლებელმა ს. შულგინმა, ჰაჯი-მურატის სისცოცხლის უკანასკნელი დღეების მოწმე ყორღანოვმა, ისტორიკოსმა, გენერალმა პოტომ და სხვებმა. თბილისიდან იასნაია პოლიანაში იგზავნებოდა დიდძალი წერილები და დოკუმენტები. არსებობს ლ. ტოლსტოის მადლობის წერილი ილია ნაკაშიძისადმი მიწერილი (რომელიც ინახება საქართველოს ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის არქივში), სადაც დიდი მწერალი მადლობას უხდის თბილისელ მეგობრებს დახმარებისათვის და მათ უგზავნის წიგნებს ავტოგრაფით.

ძნელი აღმოჩნდა არა მარტო მასალების შეგროვება, მრავალი შფოთი და განცდა მოჰყვა თვით მოთხრობის ტექსტზე მუშაობას. იყო ისეთი მომენტებიც, როცა ლ. ტოლსტოი ფიქრობდა, ხელი აეღო მოთხრობის წერაზე. ზოგჯერ ამ თემას ცვლიდა მეორე, მწერლის აზრით, ხალხისათვის უფრო საჭირო. ხანდახან მწერალი დიდი ხნით გადასდებდა "ჰაჯი-მურატს" და წერდა ხან "აღდგომას", ხან "მამა სერგის". მაგრამ მერე კვლავ და კვლავ ახალი ენერგიით უბრუნდებოდა კავკასიურ ეპიზოდს. მწერალმა ძალიან დიდი დრო მოანდომა მოთხრობის პირველ თავს. ჩვენამდე

მოაღწია ამ თავის დასაწყისის რამდენიმე ვარიანტმა (რომლებიც ინახება იასნაია პალიანას მუზეუმში).

მოთხრობაზე მუშაობის სიძნელეებზე, დაუცხრომელ ძიებას და ხშირად ამ ძიების შედეგებით მწერლის უკმყოფილებაზე მიგვითითებს არაერთი ჩანაწერი. აი, ზოგიერთი მათგანი:

14 სექტემბერი, 1896 წელი. "შავად დავწერე "ჰაჯი-მურატის" ერთი ეპიზოდი, ძალიან ცუდად, შავად".

21 ოქტომბერი, იმავვე წლისა: "გადავიკითხე "ჰაჯი-მურატი".

21 ნოემბერი, 1897 წელი. "სულ მოვიფიქრე და ვაგროვებ მასალებს "ჰაჯი-მურატისათვის". აქამდე ბევრი ვიფიქრე, წავიკითხე, დავიწყე წერაც, მაგრამ მაშინვე შევაჩერე".

13 იანვარი, 1898 წელი. "რაც შეიძლება ვცდილობ "ჰაჯი-მურატისათვის" გამოვნახო დამაკმაყოფილებელი ფორმა, მაგრამ ვეღარ ვპოულობ. თუმცა, თითქოს ვუახლოვდები".

მსგავსი ჩანაწერები განსაკუთრებით ბევრია 1902 წლის დღიურებში. 30 ნომბრის დღიურში მწერალი წერს: "Взялся за Х.М. и должно быть если буду жив, завтра кончу".

მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

საბოლოოდ იგი 1904 წლის თებერვალში დასრულდა. არც თუ დიდი ტანის მოთხრობის წერას მწერალმა 8 წელი მოანდომა.

დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი ამ ნაწარმოებს. ლ. ტოლსტოი კარგად იცნობდა კავკასიის ომების მიმდინარეობას, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამ ომების ისტორიაში შამილისა და ჰაჯი-მურატის როლი. ის უტყუარ დოკუმენტებზე დაყრდნობით ზუსტად იცავდა ისტორიულ სიმართლეს.

მწერალი სიმპატიით იყო განწყობილი უბრალო ადამიანებისადმი, როგორც რუსების, ისე მთიელებისადმი. მისთვის გასაგები იყო, რომ ამ უბრალო ადამიანებს საბაბი არ ჰქონდათ ომის გაჩაღEბისათვის. ის ხედავდა, რომ ხალხებს შორის სიძულვილს ხელისუფალნი თესავდნენ.

მოთხრობის მე-15 თავი ეძრვნება ნიკოლოზ I-ს. უსიცოცხლოთვალებიანი კაცი, რომელსაც სიამოვნებდა ყოფილიყო მრისხანე და ულმობელი. ტოლსტოი ძალიან ბევრს და დიდხანს მუშაობდა ამ თავზე. მწერალს სურდა აბსოლუტური სიზუსტით დაეხატა თვითმპყრობელის სახე. მწერლის ეს ჩანაფიქრი ცენზურის დიდი წინააღმდეგობას წააწყდა. ცენზურამ ამოაგდო მოთხრობიდან რამდენიმე ადგილი, სადაც მეფის დესპოტიზმი მხილებული იყო.

"ჰაჯი-მურატში" ავტორი კარგად იყენებს მთიელთა ფოლკლორს. აქ ბლომადაა მთის ანდაზები, ერთი ზღაპარი და სამი სიმღერა, რომლების მოთხრობის ორგანული ნაწილებია და არ წარმოადგენენ მხოლოდ ნაწარმოების მხატვრულ სარკაზმს.

"ჰაჯი-მურატში" ლ. ტოლსტოიმ, პირველმა რუს მწერალთა შორის მოგვცა ნათEლი და სრულყოფილი სურათი დაღEსტნის ისტორიიდა და იმ დროისათვის შედარებით სწორად გახსნა შამილისა და ჰაჯი-მურატის სახეები.

ლიტერატურა:

Толстой Л.Н. Хаджи-Мурат (На груз. языке) Тб., "Накадули", 1975, с. 184.

Э.Убилава. О ЭХаджи-Мурате (На груз. языке) Тб., "Накадули", 1975, с 8.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის ინსტიტუტის არქივი: ილია ნაკაშიძე, მიმოწერა ლევ ტოლსტოისთან საქმე № 1320 - 1324.

Manana Mikadze
Akaki Tsereteli State University

Small Details from History of the Creation of Tolstoy's Story "Haji Murat"

Abstract

The article refers to the details of writing store "Haji Murad" by the great Russian writer Lev Tolstoy. Lev Tolstoy had close friendship with Georgian writers Nino and Ilia Nakashidze. They often shared thoughts in the writing of this story. The story was written during eight years. This issue will be very interesting, for Tolstoy creative people.

The author, who was fascinated by the romantic character of Caucasus from the early age, spent four years in Georgia, first as the civilian and then as a military figures. Tolstoy had to fight against mountaineers several times in Caucasus.

He visited several places in Caucasus. His domicile was Stanitsa Starogladovskaya which he described in 'The Cossacks' in detail. Besides this place Tolstoy also visited Tbilisi, Khasavyurt, Old Yurt, Grozno, Pyatigorski, Zheleznogorsk, Mozdok, Caspian Sea coast.

Tolstoy with great enthusiasm describes his impressions of travelling and the greatness of Caucasus nature in his numerous diaries, letters and stories.

L. Tolstoy was fascinated not only by the Caucasus landscapes but also by people. Though he could not get on with the officers' society, he became closer with Cossacks and mountaineers. He made friends with the old Cossack Epishka (Epiphane Sekhini), who later became the prototype of one of the characters of 'Cossacks' – Eroshki. Cossacks loved Tolstoy in its turn and respected him greatly. They liked his courage, boldness and obstinacy. The author showed his great spiritual strength and stubbornness in the clashes with Chechens, when he was almost captured.

Keywords: L. Tolstoy, Nino Nakashidze, Illia Nakashidze, "Hadji Murad", Shamil, Dagestan

რეცენზენტი: პროფესორი აზად მამადოვი